ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4592124

ნომერი: AR1691807

თარიღი : 03.07.2019

გაცემის თარიღი : 17.07.2019

გაცნობის თარიღი : 17.07.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ლილო , კახეთის გზატკეცილი ; ქალაქი თბილისი , კახეთის , გზატკეცილი , "საქნავთობი"-ს დასახლების მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე ოსიაშვილი პ/ნ 01511106587
- გარდაბნის რაიონი, სოფელი მარტყოფი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საწყობი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 03 ივლისის #AR1691807 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ #01.19.15.008.106 მიწის ნაკვეთზე სამეურნეო და საწარმოო ობიექტების, საწყობის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

1. წარმოდგენილი იქნას ტერიტორიის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დამუშავებული საპროექტო გენგეგმა საკადასტრო საზღვართან და არსებულ შენობებთან საპროექტო შენობის მიბმის მანძილების მითითებით.

2.ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ (გარდა II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა) -> განმარტებითი ბარათი: აღნიშნულ ველში განმარტეთ ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ (აღნიშნული ინფორმაცია სავალდებულოა)

3. აქვე გაითვალისწინეთ, რომ ვინაიდან ნაკვეთების არასწორად გამიჯვნის შედეგად წარმოიქმნა სამშენებლოდ შეუსაბამო მიწის ნაკვეთები (ს/კ 01.19.15.008.100 და 01.19.15.008.101) რომელთა განვითარებაც ცალკეულ ნაკვეთებად ვერ მოხდება, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების პირობების დადგენა შესაძლებელია იმ პირობით თუ მოხდება აღნიშნული ნაკვეთების გაერთიანება, რისთვისაც გეძლევათ საშუალება რომ ისარგებლოთ რუკის ცვლილების ღილაკით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2019 წლის 03 ივლისის #AR1691807 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.